ალდაგი

სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“
გენერალური დირექტორის
გიორგი ბარათაშვილის
რწმუნებულება №POA-554-1/19

წინამდებარე რწმუნებულებით, **სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 404476189; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ზ. კვერნაძის N10; შემდგომში მოხსენიებული, როგორც „მარწმუნებელი“) გენერალური დირექტორი, **გიორგი ბარათაშვილი** (პირადი ნომერი: 01017017793) ანიჭებს უფლებამოსილებას, ამავე კომპანიის სამეურნეო სამსახურის უფროსს, **ანა მარკევიჩს** (პირადი ნომერი: 42001029543) მასზედ, რომ ამ უკანასკნელმა დამოუკიდებლად წარმოადგინოს სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ ინტერესები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნებისმიერ სამსახურებთან, მათ შორის არქიტექტურის, ურბანული განვითარების, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურებთან ურთიერთობაში.

„რწმუნებული“ „მარწმუნებლისაგან“ უფლებამოსილია წარადგინოს/ ატვირთოს ნებისმიერი დოკუმენტი, ხელი მოაწეროს (მათ შორის ელექტრონული ფორმით) ყველა საჭირო განცხადებას, განაცხადს და სხვა ოფიციალურ საბუთს, გადაიხადოს გადასახადები, მიიღოს ხელზე შეთანხმებული ნებართვები, ჩაიბაროს გადაწყვეტილებები ან სხვა სახის დოკუმენტები, გაასაჩივროს გადაწყვეტილებები ან/და ქმედებები, შეიტანოს ცვლილებები წარდგენილ დოკუმენტაციაში / განცხადებებში, „მარწმუნებლის“ სახელით ხელი მოაწეროს ზემოხსენებულ დავალებასთან დაკავშირებულ ყველა აუცილებელ დოკუმენტაციას და განახორციელოს ყველა სხვა მოქმედება, რაც აუცილებელია წინამდებარე რწმუნებულებაში მოცემული დავალების შესასრულებლად.

არავის არ აქვს უფლება ეჭვი შეიტანოს რწმუნებული პირის უფლებამოსილებაში იმის გამო, რომ კონკრეტული ქმედების განხორციელების უფლებამოსილება არ არის მითითებული წინამდებარე რწმუნებულებაში.

რწმუნებულების გაცემის თარიღი: 2019 წლის 26 დეკემბერს.
წინამდებარე რწმუნებულება ძალაშია 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“
გენერალური დირექტორი
გიორგი ბარათაშვილი _____